საქართველოს სახელმწიფო
ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 163
1877
ავგისტოს 1, პარასკევი 1903 წ.

ივერია

№ 163
1903
ავგისტოს 1, პარასკევი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია, პირველ აგვისტოდგან «ივერია» აღარ გაეგზავნება.

პირველ აგვისტოდგან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 5 მან. 50 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 ვითთ—1 მან. 50 კაპ.

გამოვიდა და იყიდება ყველგან „წერა-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

წიგნის ისტორია

შედგენილი დ. კარიჭაშვილის.

14 სურათით. 64 გვ. ფასი 20 კაპ.

2.

დანიელ დეფოს

რობინზონ კრუზე

მეორე გამოცემა მრავალის სურათით.

162 გვ. ფასი 30 კ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც: Тифлисъ, Общество грамотности.

ზემო ავჭალაში, ბაქანს ახლო, იყიდება

სააგარაკო ადგილი,

რომელზედაც ვენახია გაშენებული, 1.000 ჩორსო საჟენი. ფასი 2.500 მან. შეიძლება გაიყიდოს პატარა ნაკრებადაც, 100—200 ჩორსო საჟენი: ფასი საჟენისა 2—3 მანათი. მსურველთ მიჰმართონ შ. დ—ს „ივერიის“ რედაქციაში. (10—9)

ტფილისში, ავჭალის ქუჩაზედ,

იჯარით იძლევა

დიდი სახლი, რომელიც სასტუმროდ შეიძლება გადაკეთდეს. ქვემო სართულში სავაჭრო დუქნებია. შემოსავალი 10.000 მანეთს აღემატება. მსურველთ მიჰმართონ შ. დ—ს „ივერიის“ რედაქციაში. (10—9)

ქართული წიგნის მაღაზია

გაიხსნა ავჭალის ქუჩაზედ, რეუტოვის ქუჩის კუთხეში, პაპოვის სახლში, სადაც ისყიდება ყოველნაირი ძველი და ახალი ქართული წიგნები. აქვე ყიდულობენ ძველს წიგნებს, სხვა ენებზედ დაბეჭდილსაც. (10—10)

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის (წლ.)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილისქუჩიდან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ნ. ტ. მუდინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 11—1 ს.

ზრ. ვ. ხოგოლევსკი—დასტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადასტაქროვენერიული (სიფილისი) და საშარდეავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ა. ი. ზძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშბთაობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ვ. ს. ლევი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროთერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბანინა** 7—7— საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. 7½ 8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ზ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ხ. ტ. არმანიტაკი. 11—1 ს. გათებსსაუკეხლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნ ა ვ ა ს ა რ დ ი ა ნ ი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Воронцова

(წლ.

ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ დღეს, პირველ აგვისტოს, როგორც მთელს რუსეთშია მიღებული, ტფილისშიაც წყალის კურთხევა იქნება, ალექსანდრეს ბაღში. ამ დილით ქვაშვეთის ეკლესიაში სწირავს ყოვლად სამღვდელო დიმიტრი, ალავერდის ეპისკოპოზი.

✦ როგორც ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, ახალი ქვაშვეთის ეკლესია, სამთავისის გეგმაზე უნდა ააგონ. გარშემო რომ შენობები არ ეკრას, ეს ეკლესია სწორედ რომ დაამშვენებდა ამ ადგილს.

✦ ფინანსთა მინისტრი ვიტტე და სახელმწიფო ქონებათა და მეურნეობის მინისტრი ერმოლოვი აგვისტოს ნახევარში აპირობენ ჩამოსვლას კავკასიაში და განსაკუთრებით დ. სოჭაში.

✦ გზათა სამინისტროს, როგორც პეტერბურგის გაზეთები ამბობენ, ორშაბათს, 28 ივლისს, მსჯელობა უნდა ჰქონოდა რკინის გზის გაყვანის შესახებ ტფილისსა და კავკავს შორის.

„ნოვოე ვრემიას“ ყური მოუკრავს, რომ კავკავის რკინის გზის საზოგადოებას, ანუ ბ-ნ კერბედზს, დიდი იმედი აქვს, რომ ჩაშლის იმ პროექტს, რომლის აღსრულება თვით იმასა აქვს მინდობილი. ვინც რკინის გზის ხრიკები არ იცის, ის ვერ მიხვდებაო, ამბობს ეს გაზეთი, როგორ მოხდა და, უმეტესად, როგორ მოახერხა ბ-ნმა კერბედზმა, რომ გადაწყვეტილი საქმე, რომელმაც ყველა ინსტანციები გაიარა და დამტკიცდა, ხელახლა უნდა გაახილვინოს და გადააწყვეტინოს. ხალხსა და მწერლობას ეგონა, რომ კერბედზი დაემორჩილებოდა ბრძანებას და შავის ზღვის ნაპირის გზას ისე გაიყვანდა, როგორც უფრო სასარგებლოა კავკასიასა და რუსეთისათვის და არა მხოლოდ კავკავის რკინის გზის საზოგადოებისათვის, როგორც თვით კერბედზსა ჰგონია, იქმნება, სრულიად უსაფუძვლოდ.

✦ შავის ზღვის ნაპირას რკინის გზის გაყვანის საქმე, „ჩერნ. პობ.“ სიტყვით, სახელმწიფო საბჭომ უნდა განიხილოს მომავალ შემოდგომაზე.

✦ ქ. ბათუმიდგან გვატყობინებენ, რომ 20 ივლისს საღამოს ცხრის ნახევარ საათზედ ბათუმის ერთ ელექტრონით გაკაშკაშებულ ქუჩაზედ—მარინეს პროსპექტზედ, კომერციულ ბანკის გვერდით, საცა აუარებელი ხალხი დასეირნობდა, დაეცა სამი შეიარაღებული კაცი ხაჩატურიანცის ქარხნის გამგეს თარხანიანცსა და ხანჯლებით იქვე აკუწა უბედური. ხალხი შიშისაგან გაიფანტა. მკვლელებიკი რევოლვერის სროლით გარბოდნენ. ორმა მოასწრო სადღაც მიმალვა, ხოლო მესამე შეიპყრეს—ერთ დუქნის ცარიელ ყუთებში შემალულიყო.

როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა მოკვლის მიზეზი შემდეგი ყოფილა: ამ ერთის კვირის წინად ხაჩატურიანცის კანტორაში მისულა ერთი ევროპიულად ჩაცმული ყმაწვილი კაცი, ხელმოუწერელ წერილით ხელში. იქ თარხანიანცი დახვედრია. წერილში წერებულა: „ჩვენ ვართ სომეხთა დამხმარებელ კომიტეტისაგან გამოგზავნილი და გთხოვთ 500 მანეთი მოგვცეთ“. თარხანიანცს უთქვამს, „ხაზეინი“ აქ არ არის, წავალ, დაუძახებო. მართლაც გასულა გარედ და, „ხაზეინის“ მაგივრათ, იქვე პოლიციისათვის მიუმართავს—„ეს კაცი რევოლიუციონერია, დაიჭირეთო. პოლიციას მაშინათვე დაუჭერია და ეხლაც საპყრობილეში ჰყავს. მკვლელობის მიზეზი ეს უნდა იყოს.

აწ გარდაცვალებული თარხანიანცი წინად ტფილისში სცხოვრობდა და სომხურ კრებულის „თეატრის“ გამომცემელი იყო, თავისუფალ აზრების მომხრე-მქადაგებელი.

✦ ტფილისის ხელოსანთა მამასახლისმა მისწერა ყველა ხელობის უსტაბაშებს, რომ, ასაცილებლად მომავალში ყოველგვარ უწესოებისა და უთანხმოებისა, დაუყოვნებლივ უნდა მატყობინებდეთ ყოველ სურვილს, საჩივარსა და უკმაყოფილებას ხელოსნებისას, რათა შემეძლოს თავის დროს მოვახსენო გუბერნიის სამმართველოს და საჭირო ღონის-ძიება ვიხმარო; უკეთუ ამ მოწერილობას დროით არ შეასრულებს რომელიმე უსტაბაში, მაშინ ეს ურჩი და დაუდევარი, არამც თუ გადაყენებული იქმნება თანამდებობიდგან და გამორიცხული ამქრიდგან, არამედ პასუხის-გებაშიაც მიეცემაო.

✦ სამშაბათს, 5 აგვისტოს, დანიშნულია კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოსი.

✦ როგორც ტფილისის ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიის ანგარიშიდანა სჩანს, წარსულ სამოსწავლო წელს ქალაქს ჰქონია 18 სასწავლებელი, სადაც სამოსწავლო წლის დამდეგს ყოფილა 1997 მოსწავლე, ხოლო წლის დამლევს 2130 მოსწავლე. ვაჟი ყოფილა 1392 და ქალი 738. ეროვნობით მოსწავლენი ასე განაწილდებიან: რუსი იყო 840, სომეხი 683, ქართველი 550, თათარი 39, ებრაელი 6 და სხვა ერონებისა 12. წოდებით: თავადაზნაური 102, მოქალაქე 1159, გლეხი 824, სასულიერო წოდებისა 36 და სხვა 9. სწავლა დაუსრულებია 304 მოსწავლეს.

✦ ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში თხოვნები პირველ აგვისტოდან 20-მდე მიიღება. ახლად შემსვლელთა გამოცდა მოხდება 25 და 26 აგვისტოს.

✦ ტფილისში წარსულ ივლისის 1-დან 16-მდე 17 კაცი გამხდარა ავად გადამდებ სენით: ყვავილით 1, ქუნთრუშით 6, ყელჭირვებით 2, სახადით 1, სისხათი 2, წითელქარით 2. ავადმყოფთაგან 3 გარდაცვლილა: ყვავილით 1, ქუნთრუშით 1 და მუცელათი 1.

✦ პეტერბურგში 15 ნოემბრიდან 10 თებერვლამდე 1904 წლისა გამოფენა იქმნება სახელოვნო ნივთებისა, რომელიც გაკეთებულია ლითონისა და ქვისაგან. ამ გამოფენის მფარველობა მიიღო მისმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ დიდმა მთავრინამ ელისაბედ მავრიკის ასულმა. გამოფენის გამგეთაგან აქაურ მთავრობას მოუვიდა და ხელოსანთა მამასახლისს გაეგზავნა წესი ამ გამოფენისა, მრავალ ფურცლად დაბეჭდილი, რომ ხელოსანთა შორის გაავრცელოს.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოგზავნილნი რუსეთიდან კავკასიაში გადმოსახლებულთა ყოფა-ცხოვრების მოსაწყობად, გადასასახლებელთა გამგეობის უფროსის თანაშემწე სტანკევიჩი და მასთან მოხელე ამ გამგეობისა ავილოვი ამ ჟამად ტფილისში არიან.

✦ ტფილისის საადრესო დაწესებულების შემოსავლის გასაძლიერებლად განზრახულია ღერბის მარკები შემოიღონ და ამის ხარჯი ახდევინონ იმათ, ვინც დროებით მოვა ქალაქს. ამას გარდა, მომავალ წლიდგან სახლის პატრონები მოვალენი იქნებიან სახლის დავთრები ყოველ წელსა სცვალონ, ხოლო დავთრები უფრო მცირე იქნება და ნაკლებიც ეღირება.

✦ საგუბერნიო სამმართველოს ინჟინერმა ბ-ნმა ანტონოვმა შეადგინა და წარუდგინა გუბერნატორს პროექტი სიონის ქუჩის გაფართოვებისა, სირაჯხანის მხრივ, რომ განიერი ქუჩა ჩადიოდეს თათრის მოედნამდე. ამისათვის საჭიროა თურმე მხოლოდ ორი შენობა აიღონ: ერთი სომხის მონოზნების მონასტრისა, ზომით 7,9 ჩორსო საჟენი, და მეორე—ჩითახოვების მემკვიდრეებისა, 12,12 ჩორსო საჟენი. ეს ადგილი ქალაქმა უნდა შეისყიდოს. ტფილისის გუბერნატორს მოსწონებია ეს პროექტი და ქალაქის მოურავისათვის გაუგზავნია, რომ საბჭოს მოახსენოს განსახილველად.

✦ კავკასიის სამასწავლებლო ოლქის სამმართველომ მისწერა ტფილისის საშუალო სასწავლებლების უფროსებს, მომეტებული თვალ-ყური ადევნეთ მოსწავლეებს, რომ საზაფხულო ფორმის ტანსაცმელი ატარონ, და არა ლურჯი ანუ ფერადი პერანგები.

✦ რადგანაც რკინის გზის ლიანდაგს ამ ბოლოს დროს ბოროტ-განმზრახველნი ხშირად აფუჭებენ, კავკასიის რკინის გზის უფროსი აცხადებს, რომ ვინც ლიანდაგის აშლას აღმოაჩენს 25 მანათი მიეცემა საჩუქრადაო.

ქართული თეატრი და მისი რეჟისურა.

ჩვენის უკანასკნელის წერილის შემდეგ, უეჭველია, ბევრი გულის ტკივილით წამოიძახებს, ნუ თუ არავითარი საღსარი არ არის, რომ როგორმე პრემიერები აილაგმოს და საქმეც მოწესრიგდესო. ჩვენც გამოტეხილი უნდა ვსთქვათ, რომ აწინდელ გარემოებათა შორის ვერავითარ საშუალებას ვერ ვხედავთ საქმის გამოსაწესრიგებლად, სანამ დასის შენახვა, ანტრეპრიზა დრამატიულ საზოგადოების ხელში იქნება.

ჩვენის აზრის უკეთ გასათვალისწინებლად, ერთს წუთს თვალი გადავავლოთ მოსკოვისა და პეტერბურგის საიმპერატორო დრამატიულ სცენებს და აშკარად დავინახავთ, რომ იქაც ძნელია და თითქმის მოუხერხებელი პრემიერების მორჯულება და ჩვენში ხომ ეგ ყოვლად შეუძლებელია, რადგან გამგეობა არჩევანობითი დაწესებულებაა და, ხომ მოგეხსენებათ, საზოგადო კრება რა ცვალებადი და შემთხვევითის ხასიათისაა. მოვიგონოთ შარშანდელი კრება. რაები არ ითქვა გამგეობის წინაალმდეგ! ზოგი იმასაც-კი გაიძახოდა, ესა და ეს მსახიობი რატომ არ აიყვანეთო, ამასა და ამას რატომ ამდენი არ მიეცითო და სხვა მრავალი მაგისთანა უვიცობისა და უზრდელობის მარგალიტები. ერთი მსახიობი-კი იქამდინ გაკადნიერდა, რომ წარბ-შეუხრელად თავის თავი შეაქო და ჯილდოთ ბენეფისი მოითხოვა.

განა შესაძლებელია რაიმე წეს-რიგისა და რეჟიმის დამყარება იქა, სადაც ურიგობასა და უკუღმართობას კანონიერი მედასტურე ჰყავს?! გამგეობა, თუ იგი ფხას და გამგებლობის რიხიანობას მოკლებულია, თავის დღეში ვერას გააწყობს პრემიერების თვითნებობასთან...

მოსკოვისა და პეტერბურგის პრემიერებს კიდევ თავისი საკუთარი ძლევამოსილი ბობოლები ჰყავთ, თავიანთი წრე და მექომაგე გაზეთები აძლევენ მხარს. აბა, მოიგონეთ, რა აურ-ზაურს ასტეხენ ხოლმე ხანდისხან ზოგიერთი გაზეთები თავიანთ „ლუბიმცების“ მისაქომაგებლად, როგორ აჭრელებენ ხოლმე თავიანთ ფურცლებს შემდეგით შენიშვნების: „ჩვენ შევიტყეთ, რომ სახელოვანი არტისტი ბ-ნი დავიდოვი (ან კიდევ ვარლამოვი, თუ ქ-ნი სავინა, აპოლონსკი და სხვა) სცენას თავს ანებებს, რადგან დირექციასთან უთანხმოება მოსვლიაო“ და სხვა მრავალი ამისთანა ტყვია-წამალი იხარჯება ხოლმე დირექციის დასატუქსავად. „რა უბედურებაა, ვინც-კი ნიჭიერია ყველას ერეკებითო“! ცეცხლს აფრქვევენ შესყიდული გაზეთები; „ბედაურები დაიხოცნენ, ვირებს დარჩათ მოედანიო“!—ოხუნჯობენ მეორენი.

ხოლო თუ ახლო დააკვირდებით და გამოიკვლევთ „უთანხმოებას“ პრემიერებსა და დირექციას შორის, დარწმუნდებით, „უთანხმოება“ ის არის, რომ სახელოვანი პრემიერი არ ემორჩილება არც დირექციას, არც რეჟისორს, არც ლოღიკას და არც სამართლიანობას; სწორედ ეგ ნიჭიერი არტისტი გზას არ აძლევს ახალგაზდა, ნიჭიერ მსახიობთ და სხვა ამისთანა უსაქციელობას კადრულობს, ღრმად დარწმუნებული, რომ მისი ტყუილი ჭეშმარიტებად გავა და მისი ძალმომრეობა—დირექციისა თუ რეჟისურის ინტრიგად!

აი, ასე მიმდინარეობს საქმე ორს საუკეთესო საიმპერატორო თეატრებში. ჩვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნში-კი... ჩვენში საქმე ასე რთული არ არის და უფრო მარტივია. „თავი ქვისათვისაც გიხლიათ, რასაც მინდა იმას ვიქ, უჩემოდ ვერ გასძლებთო!“ გაიძახიან ჩვენში.

სწორედ მორიგ რეჟისორობის დროს იძულებულ იქმნა თავი გაენებებინა ალექსანდრეს სცენისათვის ჯერ ცნობილ არტისტ ქალს ვ. ვასილიევას, მერე არტისტს მ. დალსკის და შარშან კიდევ ვერა კომისარჟევსკის ქალს, რომელიც ნიჭითა და ხელოვნებით ეცილებოდა მარიამ სავინას. თუ ნიჭიერი ვინმე გამოერია დასში, ისე შეუკრავენ გზა და კვალს, რომ მთელის წლობით როლს არ მისცემენ. ახალგაზდებს ხომ ახლოსაც არ იკარებენ; თუმცა ორსავე სატახტო ქალაქებში ოცზე მეტი დრამატიული კლასები და სკოლებია და საიმპერატორო თეატრებს საკუთარი სკოლებიცა აქვთ, მაგრამ, აბა, დაასახელონ ერთი მაინც ამ სკოლებიდან საიმპერატორო სცენებზე მიღებული. რა თქმა უნდა, ჩვენ ვამბობთ ნიჭიერ ახალგაზდობაზე, თორემ უხეიროებით ისედაც სავსეა ორთავე სცენა.

ნურც იმას ვიფიქრებთ, რომ ხსენებულ თეატრების მთავარ გამგეობას—საიმპერატორო სასახლის სამინისტროს—მრავალი ღონე არ ეღონოს საქმის მოსაწესრიგებლად. პირ-იქით, იგი მუდამ თეატრის ზრუნვაშია: ვის არ მიჰმართა, რამდენი მცოდნე კაცი არ მოიწვია, რამდენი ახალი და გარეშე კაცი არ დანიშნა საქმის სათავეში, რამდენი არ გამოსცვალა და გადააყენა, მაგრამ სულ ამაოდ! ძველი სისტემა და რუტინა, პრემიერების ოლიგარხია შეუცვლელია და იმიტომ არის, რომ რუსეთის ორი საუკეთესო დრამატიული თეატრი, წარმატების მაგიერ, უკან-უკან მიდის, რაიცა დიდი ხანია საზოგადოებამაც იგრძნო და მწერლობაც ჰმოწმობს. სწორედ ამით აიხსნება, რომ ხსენებულ თეატრებთან ერთად ცხოველ-ნაყოფიერად ჰმოქმედებენ ორსავე დედა-ქალაქში ბევრი დრამატიული სცენები, ხოლო ორივე დედა-ქალაქის ეგრედ წოდებულ სალიტერატურო-სამხატვრო თეატრები გაცილებით სჯობნიან საიმპერატორო სცენებს რეპერტუარით, მსახიობთა ანსამბლითა და ხელოვნებით, საქმის წარმოებითა და ახალის, დროების შესაფერის საშუალებითა და ძალ-ღონით.

ფრიად საგულისხმოა ეს ამბავი, განსაკუთრებით ჩვენთვის, რადგან ჩვენის თეატრის ორგანიზაცია ბევრში წააგავს საიმპერატორო სცენების დახშულ და დაძველებულ მართვას. საჭიროა მეტი სინათლე და განსაკუთრებით წმინდა და სუფთა ჰაერი. ჩვენ შეგვეძლო მრავალი მაგალითები მოგვეყვანა იმისი, თუ ჩვენთა მსახიობთა პირადის ინტერესების გაღმერთებისა, თუ მათის ავადმყოფურის განდიდებისა, მაგრამ ჯერხანად ჩხარი ავუქციოთ ამ მაგალითებს; ხოლო ერთს სახასიათო ამბავს მაინც აღვნიშნავთ. შარშან, ქართულ სეზონში, ზოგიერთ ჩვენებურ მსახიობს თურმე განეზრახათ თავისი „საკუთარი“ წარმოდგენების მართვა, რა არის—რაკი ჩვენი ვერ გავიტანეთ, ხელს მაინც შეგიშლითო!.. რაღა თქმა უნდა, რუსულ-სომხური გაზეთები განგაშსა და ტაშს უკრავდნენ ამ უმსგავსო განზრახვას და დაუფარავის სიამოვნებით გაიძახოდნენ „въ добрый часъ“-ო! მაგრამ კმარა! „კარგი რამ გვჭირდეს—გვიკვირდეს, ავი რა საკვირველიაო“!—ტყუილად კი არა ჰკვნესოდა ჩვენი გენიოსი პოეტი.

სულ სხვა იქნებოდა, რომ ჩვენის თეატრის გამგეობა უფრო მძლავრის ხასიათისა და შეურყეველის მიმართულებისა ყოფილიყო, ან არა და ანტრეპრიზა კერძო კაცს სჭეროდა: მაშინ მსახიობნიც მორჯულდებოდნენ და საქმეც უკედ წავიდოდა: მტკიცე ხასიათის გამგეობა ანუ კერძო ანტრეპრიზა არ მოერიდებოდა პრემიერებს,—ფოლადისებუბურის უფლებით შეჰზღუდავდა მათს თვითნებობას; დიდსა და პატარას საერთო საჭიროების კალაპოტში ჩააყენებდა და, თუ ვინიცობაა, პრემიერები ძველს რჯულზედ ხელს არ აიღებდნენ, ისეთს კუკუს ამოუჭერდა, საჭიროებისადაგვარად, რომ ხელად ეწამებინათ ახალი მოძღვრება. კერძო ანტრეპრიზას ვერავინ ვერ გაუბედავდა იმას, რასაც ეხლა გამგეობას მუქარით ავალებენ. ჩვენ ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ კერძო ანტრეპრიზა ხუთი-ექვსის წლის განმავლობაში, მიუხედავად ბევრისა და უცილობელის ნაკლულევანებისა, ყველა მსახიობთ ერთს კალაპოტში ჩასვამდა და თვითეულს ისე ასაქმებდა, როგორც სცენის სარგებლობა მოითხოვდა; იგი ისე შეჰხედავდა მსახიობს, როგორც ხელის შემწყობ ძალას და არა როგორც ბობოლას, რომელსაც გამგეობა დღე-მუდამ ელოლიავება და წითელ კვერცხს უკორებს. კერძო ანტრეპრიზა ანუ მტკიცე გამგეობა ყველა მსახიობს გაათანასწორებდა კანონად დადებულ წეს-რიგისა და რეჟიმის წინაშე. ასეთს ვითარებაში ჩვენის თეატრის მერმისი ერთი-ორად უფრო უზრუნველ-ყოფილი იქნებოდა.

მაგრამ არა გვგონია, რომ ეს სანატრელი, მტკიცე და შეურყეველი გამგეობა ანუ ანტრეპრიზა მალე გამრჩნდეს და მანამდე კი მორიგი რეჟისურა ერთადერთი სალსარია გამგეობისათვის საქმის ორჭო ფორჭოდ საწარმოებლად. უფერული და სუსტი გამგეობა, ძლიერაც რომ იყოს მოწადინებული, ვერას გააწყობს თავისის პიროვნებას მოკლებულის რეჟისორით, ხოლო ჩვენი პრემიერები კი არც ერთს რეჟისორს არ შეითვისებენ, არ იწამებენ და არავის ავტორიტეტს, გარდა თავის ჟინისა, არ დაემორჩილებიან.

ჰო და, სწორედ ეგ უნდა იყოს მიზეზი, რომ გამგეობის წევრნი და თვით პრემიერები სიხარულით მიეგებნენ მორიგ რეჟისორობას, რომელსაც, ექვს გარეშეა, პრემიერები გაინაწილებენ თავიანთ შორის. თუმცა ჩვენ, როგორც ყოველივე ზემოდ თქმულიდგანა სჩანს, წინააღმდეგნი ვართ მორიგის რეჟისურისა, ვითარცა სრულის ანარქიის მომასწავებელისა, მაგრამ სხვებთან ერთად ჩვენც მხარს მივცემთ ამას, რადგან დარწმუნებულნი ვართ, რომ იმ უცილობელმა ანარქიამა და საქმის დაქვეითებამ, რომელიც ლოღიკურად მოჰყვება მორიგ რეჟისურას,—შეუძლებელია ბოლოს მაინც არ გამოაფხიზლოს და თვალები არ აუხილოს დრამატიულ საზოგადოების გამგეობას და მსახიობთ. ჩვენა გვწამს, რომ დასასრულ თვითონ პრემიერებივე დაიწყებენ დრტვინვას და გოდებას: „არიქა, გვიშველეთ, ვიღუპებით, ისევ ძველებური რეჟისურა დაგვიბრუნეთ, ისევ ერთმა აწარმოვოს საქმე, ისევ ერთმა იუფლოსო!“

აი ამ მხრივ ჩვენ ოლონდაც ვინატრით მორიგ რეჟისურას, ვითარცა წარმავალ ხანას, ახლო მომავალის განსაკარგებლად.

სცენის მოყვარე

სვანეთში ორი კვირით.

(შემდეგი *)

ტილოს განკელი ცაგერის ტაძრისა დახატულია 1786 წ. კარგის ოსტატის ხელით.

ხელნაწერ წიგნებში საყურადღებოა:

ა) მეტაფრასი, ე. ი. კრებული წმ. მამათა რჩეულ ქადაგებათა და მოძღვრებათა საუფლო და სხ. დღესასწაულ დღეებში.

ამ კრებულში მოთავსებულია იშვიათი მოთხრობანი (აპოკრითის ხასიათისა) იესო ქრისტეს განსჯისა პილატეს წინაშე ანანია ებრაელისა, 1) და კონსტანტინეპოლის ქალაქის ღვთის მშობლისაგან ხსნა სპარსთა ზედამოსვლისაგან, ე. ი. ფრიად ვრცელი საკითხავი დაუჯდომელობის შაბათისა და სხ. ხელნაწერაა დაწერილი XVI საუკ. ნუსხა ხუცურით ორსვეტად მთელ თაბახის ოდენა ქაღალდზედ. ეტყობა ძალიან ძველის დაზიანებულ დედნიდგან არის გადმოწერილი, რომ აქა-იქა ცარიელი ადგილებია დატოვებული, ეგება ნაკლი მერე ჩააწეროს გინმემათ.

გადამწერი ან თვალნაკლი მოხუცი ყოფილა, ან ახალგაზდა გამოუცდელი ყმაწვილი კაცი: ქარაგმების წესი არა სცოდნია და ხშირად ასოს აკლებს სიტყვებს. თვით ენა მოთხრობისა უძველეს დროს სამწერლო ენის ხასიათისაა. ხელნაწერი შეიცავს 642 გვერდს და მაგარს ტყავ გადაკრულ ხის ყდაში ზის.

ბ) მხედრული ხელნაწერი „სრული წმ. საბას ლავრის ტიბიკონი“.

გ) სადღესასწაულო, პატარა ტანის ხელნაწერი ორ წიგნად, XIV საუკ. ხუცური ნუსხა ხელით.

დ) კურთხევანი, დაბეჭდილი, გვონებ, 1751 წ. რომლის ბოლოში, 570 გვ. შემდეგი საინტერესო ცნობაა მოთავსებული:

№ 6„ ქ ხილველთადმი წიგნისა ამის კურთხევანისათა. ანდერძი მშრომელთა მიერ.

ოდეს მეფობდა საქართველოსა შინა კურთხევით მოხსენებული მეფე ვახტანგ, დროსა მას გამართულ იყო წიგნი ესე, რომელ არს კურთხევანი, ყ̃დ სამღვდელოსა სამთავნელ ეპისკოპოსისა კიპრიასაგან 2) ბერძულსა კურთხევანსა ზედა დედანი კურთხევანისა ამის მოუთხრობდა დაბეჭდილიყოცა. და აწ დროსა ამას ბრძანებითა მისისა მის კეთილმსახურებისა მეფისა ჩვენისა ირაკლისათა განახლდა რა და წარმოდგა ბეჭედი სტამბისა ამის და დაიბეჭდა პ-დ ფსალმუნი, მეორედ კონდაკი, მესამედ კ-დ ფსალმუნი და ეგრეთვე მცირედნი წიგნნი, რომელნიმე სახმარად ეკკლესიისა ჩვენ ქართველთასა. შემდგომად გვებრძანა ბეჭდვაჲ კურთხევანისა; და ვიწყევით რა ვითა დედანსა ეწერა და ორი და სამი ფურცელი დაიბეჭდა, იხილა უწმიდესობამან სანატრელისა მამათ მთავრისა ჩვენისა ანტონისამან, რომელ გარეგან ღრამატიკისა კანონთა და წესთა იყო ნაბეჭდი ჩვენი და დედანიცა რომელსა ზედა ვსწერდით. და მოახსენა ძმასა თჳსსა და მეფესა ირაკლის, და ამისთჳს ებრძანა მისის მეფობისა უმაღლესობისაგან და მისის უწმიდესობისაგან, მათის უწმიდესობის გლახაკს ბერს იღუმენს მხატურის ძეს მიხაილს და გაიმართა მისგან კანონსა ზედა ღრამმატიკისასა და დაბეჭდილ იქმნა, რაოდენ ახალ მესტამბეთაგან შეიძლებოდა, და პრობისა მმართველიცა იგივე იყო. მესტამბეთა უხუცესობითა სიონის დეკანოზის ნიკოლოსისა 3) და ულირსის ხუცის მხატვრის იოანესითა; ზედამდევგობითა მდივნის ედიშერ თუმანისშვილისათა და მისთანა სტამბისა სახმართა ზედა გარჯითა ჰარკოზის ძისა ზაქარიასითა. გევედრებით მხილველთა ყოველთა, შეცთომა თუ რაიმე იხილოთ, შენდობა ჰყავთ და ნუ გუწყევთ, ა-დ ლოცვით მოგვიხსენებდეთ“.

იღუმენი მიხაილ მხატვრის იოანეს ძე იყო ანტონ კათალიკოზის აღზრდილი, გვარათ ინასარიძე. 1778—1782 წლებში იყო წინამძღვრად კახთუბნის ყოვლად წმიდის მონასტრისა. შემდეგ მიეცა ჯერ წილკნელობა, მერე ტფილელ მიტროპოლიტობა; ბოლოს გადაყვანილ იქმნა ნინო წმიდის ეპარქიაში, საკარეჯოს მახლობლად.

ე) კლემაქსი იოანე სინელ მამასახლისიას. და სხ.

აქ ეკკლესიაში ჰმარხიან მრავალნი ცაგერის მღვდელთმთავარნი, და მეუღლე კაცია დადიანისა ელისაბედი; იგი იყო ასული თეიმურაზ მეფისა, დაიბადა 1750 წ. 25 მარტს 4). ელისაბედი მიიცვალა 1770 წ. აგვისტოს 9. მისი საფლავის სახურავი შემკულია ატლასზედ ანნახნუმ დედოფალს, დედას, ოქრო მკედით და აბრეშუმით, გამოყვანია სრული სახე ახალგაზდა ელისაბედისა, სადედოფლოთ მორთული და გარს იამბიკოს ლექსით ამოქარგია ეპიტაფია. 5).

ცაგერელ მღვდელთ-მთავართაგან ჩვენ ვიცით:

ა) კოზმან 1583—1631 წლებს შუა. ესე დაესწრო საქართველოს მღვდელთ-მთავართა კრებასა 1605 წ. „განმართვისათვის წესთა და ზნეთა ქრისტეანებრივთა“.

ბ) ანდრია 1640—1659 წ. იხ. Переп. груз. ц. съ рус. г. LVI გვ. იყო წინად გამგებლად სამების მონასტრისა ბედიის მახლობლად.

გ) გაბრიელ, 1660—1676 წ. იხ. იქვე 82 გვ.

დ) გრიგოლ, 1752—1771 წ., ძმა ოტია დადიანისა და ძე ბეჟანისა.

ე) სვიმონ, მიტროპოლიტი 1771 წ. აბაშიძე, წინად ჯრუჭის მონასტრის წინამძღვარი. მიიცვალა 12 აპრილს 1778 წ.

ვ) გრიგოლ, 1779—1788 წ.

ზ) იოანე, 1789—1792 წ. ძე კაცია დადიანისა. მერე ჭყონდიდელი და განაგებდა ცაგერის სამწყსოსაც. † 8 დეკემბერს 1823 წ.

ცაგერის გაღმა ჩრდილოეთით, ცხენის წყლის მარცხენა ნაპირზედ მაღლა მიუვალ გორაზედ დგას მშვენიერი მურის ციხე; ამ ციხის დაბლა ვაკეზედ გაშენებულია ს. მური. ციხის ცოტა დაბლა აღმოსავლეთით გადმოიყურება საყარაულო კოშკი; ამისთანავე კოშკი ციხის დასავლეთითაც დგას მაღალ კლდეზე იქ, სადაც ცხენისწყალი, სულ-შეხუთული ვიწრო კლდოვან კალაპოტში, გაათფთრებული გამოჭქუხს გაშლილ მინდორზედ მურის ხიდთან. აღმოსავლეთის საყარაულო კოშკს ძველად ერქვა სახელი „მაგრა დახვდი“; თვით მურის ციხეს—„არ გაუშვა“; და ცხენის წყლის პირზედ კოშკს—„ესროლე“.

ამაზედ მოხერხებული სტრატეგიული ადგილის შესაფერი დანიშნულება რაღა შეიძლებოდა: პირველი კოშკიდან დაუშენდნენ შემომოსულ მტერს და ფერს აცვლევინებდნენ; წინ რო წადგებოდა მტერი, კოშკიდგან გასძახებდნენ ციხელებს—არ გაუშვაო. რაკი მტერი კიდევ წინ წასდგამდა ფეხსა, მეორე კოშკიდგან დაუშენდნენ ისარს, ანუ ტყვიას ვიწროობისა გამო შეჯგუფებულ მტერსა და ამბის წამდები ვეღარ წავიდოდა შინისკენ. ამიტომ, ვისაც ცხენის წყლის ხეობაში შესვლა უნდოდა, ჯერ მურის ციხის პატრონს უნდა დამეგობრებოდა.

მურის ციხის ესრეთი სიმაგრე აძლევდა ნებას ხოსია ლასხიშვილს, კაცია ჩიქოვანს, გიორგი ლიპარტიანს და სხ. თავის ნებაზე საყმოდ ჰქონოდათ მთელი ლეჩხუმი და სხ.

მურის ციხეს საპატიო ადგილი უჭირავს საქართველოს საეკკლესიო ისტორიაშიაც: ქართლ-კახეთის სამღვდელოების საეკკლესიო მუზეუმის XI საუკ. ტყავზედ ხელნაწერ სვინაქსარში № 97 აგვისტოს 13 რიცხვს ქვეშე სწერია:—„წმ. მამისა ჩუენისა მაქსიმე აღმსარებლისაჲ“. აქვე 529—541 გვერდებზედ მოთავსებულია წმ. მაქსიმეს ცხოვრება და ტანჯვა. 540 გვ. არშიაზედ სწერია ტექსტის ხელით იმ ადგილის პირდაპირ, სადაც სწერია—„მაქსიმე კონსტანტინეპოლიდგან ექსორია პატიმარ ჰყვეს 631—639 წ. ქვეყანასა მეგრელთასა და იქვე აღსრულდა“—„სუანთა სოფლისა ციხე, რომელ არს მური“. მაქსიმე აღმსარებელი მიიცვალა 662 წელს, შაბათ დღეს 13 აგვისტოს *). ეს ცნობა წმ. მაქსიმეზედ აგრეთვე არა ნაკლებ ცნობილია საბერძნეთის და რუსეთის საეკკლესიო ისტორიაშიაც.

ს. მურში გვაჩვენეს წმ. მაქსიმეს საყდარი ქვითკირისა, რომლის ყავრის სახურავი ამ ცოტა ხანში ჩანგრეულა და შიგ შესვლა შეუძლებელია. ამ საყდარში არის საფლავი წმ. მაქსიმესი და ზეგიდგან გადმოიყურება მურის ციხე. უწინ, როცა უწვიმრობა-გვალვა შეაწუხებდა ხოლმე აქაურობასა, მეზობელი სოფლების—ლეხვირის, ჩხუტელის, ცაგერის, მურის და სხ. მცხოვრებნი შეიკრიბებოდნენ ხოლმე და შემოსილი მღვდლით ლიტანიით წავიდოდნენ გალობით და ლოცვა-ვედრებით—„წმიდაო მაქსიმე, გვიშველეო“! თხოვა ყოველთვის უსრულდებოდათ თურმე. ამ ოციოდე წლის წინად თ-დ დადიანის მოურავს ახვლედიანს (+1893 წ.) დაუხურავს წმ. მაქსიმეს საყდრისთვის, რადგან სიზმრად მოსჩვენებოდა. ურიგო არ იქნებოდა წმ. მაქსიმეს საფლავის პატივისცემა ძველებურად გაღვიძებულიყოს ჩვენს დროში და სარწმუნოებრივს გრძნობაზედ აღფრთოვანებულიყოს ქართველთა შორის ეროვნული თვითცნობიერება.

წმ. მაქსიმეს საფლავი რომ სხვა ქვეყანაში ყოფილიყო, ნაღარა-ბუკით კაცობრიობას ყურებს გამოუჭედავდნენ და ოქრო-ბრილიანტებით შეამკობდნენ. წმ. მაქსიმეს თანამოღვაწენი ერთი, ანასტასიოს სვანეთში იყო

---

*) იხ. „ივერია“ № 157.

1) ეს მოთხრობა ჩვენ გადმოვსწერეთ უმეტ ნაკლებოდ.

2) ყანჩაველი.

3) მაღალაძე.

4) იხ. ქ. ცხ. 428 გვ. ესე ელისაბედი შერთეს გიორგი დემეტრეს ძე ამილახორს, მაგრამ გააშვებინეს 1764 წ. და კაციას მიათხოვეს.

5) ამის თანა ძვირფასი ხელოვნების საფლავის სახურავები ორი მინახავს იკორთის მონასტერში...

*) იხ. ქრონიკ. თ. ჟორდანიასი 1, 342 გვ.,

ფელეტონი

ორი ლექსი ჰეინესი.

ბედნიერება—ვით ქარაფშუტა
გოგო დიდხანსა არ დაგიდგება;
თმებს გაისწორებს, ერთ-ორს გაკოცებს,
მერე საჩქაროდ შორს გაფრინდება.
მაგრამ ბეჩერი მწუხარება-კი
სიყვარულითა გულში ჩაგიკრავს,
სულ ამბობს, მე არ მეჩქარებაო...
გიზის გვერდითა, ჰქერავს და ჰქერავს...

—

რას გვარგებს შენი იგავნი,
ჰიპოტეზთა რახა-რუხი!
სჯობს ამ დაწყევლილს კითხვებზედ
მოგვცე პირდაპირ პასუხი!
რადა ზიდავს წამების ჯვარს
სულ მართალი ვაებითა?
რად იღებენ ურცხვს და უქნარს
ყველგან პატივ-დიდებითა?
ვის ბრალია? თუ სიმართლე
ველარ იჩენს თვის მხნეობას?
ან იქნება გვათამაშებს?
ფუ! მის ნამუსს, ბედასლობას!
ასე ვკითხულობთ მარადა,
გამოცანად ეს გამხდარა,
ვიდრე ხმას არ ჩაგვიწყვეტენ...
პასუხია ესა, კმარა?

ი, ბაქრაძე.

ზღაპარი-ანდაზა.

(თათრული)

სილატაკისაგან ლტოლვილი ასანა მივიდა ერთ ქალაქში, შეაფარა თავი დიდებულ ოჯახს, რომელიც აძლევდა უსასყიდლოდ დღიურ ულუფას.

ასანამ მიჰყო დღიურ შრომას ხელი...

თვალ-გაფაციცებით, გულ-შეხუთული სადმე ქუჩის, ან მოედნის ქიმში წამოსკუპდებოდა და... იყო მოლოდინში: აცა, იქნება ვინმე დამსაქმოსო.

გული ფანცქალს დაუწყებდა, როცა შემოესმოდა: „მუშააა“!!! ფიცხლავ ზეზე წამოვარდებოდა, თვალებ გაფაციცებული მოჰკურცხლავდა, რომ სხვამ არ დამასწროსო!.. მიირბენდა და... ფიცხლავ აასრულებდა, რასაც უბრძანებდნენ.

დამსაქმებელნიც უხვად აძლევდნენ შრომის ფასს, რაკი ასანა სწრაფად და კარგად ასრულებდა დანაკისრს, და არც იცოდა ლიჯინი.. მუდამ კმა-ყოფილი რჩებოდა.

რამდენსამე წელიწადში შეაგროვა ორასი მარჩილი, რაკი თავის სმა-ჭამაზე არა ეხარჯებოდა-რა... ასანამ დააპირა სოფელში წასვლა, რომ მიჰპატრონებოდა უმწეოდ დაშთენილ ცოლ-შვილს, ვალით სავსე ლატაკ ოჯახს...

გაეხვია ფიქრთა წყვდიადში... გაითვალისწინა თავისი წვრილ-შვილის ტანჯული ცხოვრება.. მოვალეები... მრავალი ნაკლულევანება... ბევრის ანგარიშისა და ფიქრის შემდეგ გადასწყვიტა, ჯერ კიდევ დავრჩები აქ, რადგანაც ტანჯვა-შრომით შეძენილი ფული ძლივს გასწვდება მოვალეებსაო! მერე რითი-ღა ერჩინა ცოლ-შვილი, რამდენი ხანიც გინდა დარჩენილიყო თავის ოჯახში?!

ჩავარდა საგონებელში: რო დარჩეს, სად და ვის მიაბაროს თვისი ნაჭირნახულევი, ტვირთ მძიმე შრომით მონაგარი ფული?!

II

იმავ ქალაქში სცხოვრებდა „წმინდა“ ცხოვრებით სახელ-განთქმული ცბიერი ყადი.

მიიტანა ასანამ თვისი ნაწვავ-ნადაგი, შრომით მოპოვებული საუნჯე ყადთან. შეევედრა მოწიწებით, დროებით მიიბარე ფული, ორასი მარჩილიო.

ყადმა მიიღო ცბიერ-მოწყალე მეტყველება სახისა და, ცოტა რამ ყოყმანის შემდეგ, თავის დაქნევით დასთანხმდა...მიითვალა ფული და ასანასთანვე ჩასდო საგანძურში.

უხარია ასანას, რომ საიმედო ადგილს დააბინავა თვისი ავლა-დიდება და უფრო მხნედ დაიწყო შრომა...

განვლო კარგა დრომ... დანატრულდა ასანა თავის ცოლ შვილის ნახვას. მთლად ოცნებად იყო ქცეული... ერთს ადგილს დააშტერდებოდა მიწას, ჩაეხვევოდა ოცნებათა წყვდიადს და, თითქოს ცხადლივ ცოლშვილშიაო, ისე ჰგრძნობდა თავს... მათის მწარე ცხოვრების სურათი ზედიზედ ეშლებოდა თვალ-წინ. დააპირა წასვლა... მოემზადა სამგზავროდ... გამოეთხოვა თავის მოწყალე ბანოვან-ქალბატონს, რომლის სამზარეულოდან უსასყიდლოდ ეძლეოდა საზრდო. მივიდა ყადთან და მოწიწებით მოსთხოვა მიბარებული...

განრისხდა ყადი. როგორ ჰბედავს ვიღაც ბრიყვი, მაწანწალა მუშა ესეთ თავხედობას!?. ფულსა მთხოვს და მე-კი მაგას პირველად ვხედავო?! უბრძანა მხლებლებს და... სულ კინწის კვრით ნაცემ-ნაბეგვი გააძევეს ასანა ყადის სახლიდან.

მორთო ასანამ ღრიალი და წუხილი...

— ასან! რა დაგმართნია, რომ ეგრე მწუხარედ ქვითინებ?—ეკითხებიან გამვლელ-გამომვლელნი...

არ სჯერა არავის, ვისაც-კი უამბო თვისის მწუხარების მიზეზი. ყველა ლანძღავს და სტუქსავს, რომ შეურაცხ-ყოფს წმიდა ყადს... განა დასაჯერებელია, რომ ვიღაც ბოგანო ასანას მიებარებიოს ფული ყადისათვის?!.

ზოგიერთმა ყადის „წმიდა ცხოვრების“ თაყვანის მცემელმა კიდეც წაუთაქა კისერში ასანას ყადის სახელის შეურაცხყოფისათვის...

ასე გულ-გატეხილმა, გაძარცულმა, ნაცემ-ნატყეპმა, დაოსებულმა ასანამ მიატანა თვის მწყალობელ, დიდებულ ბანოვანის სასახლეს, მაგრამ ვერ შებედა შიგ შესვლა... ეშინოდა, ვაი თუ მისმა მწყალობელმაც არ დაიჯეროს მისი სიმართ-

დამწყვდეული და მეორე—აფხაზეთის ვოტორის ციხეში.

მღ პ. კარბელაშვილი.

(შემდეგი იქნება)

შეცდომის გასწორება

წინა წერილში შემდეგი კორრექტურული შეცდომანი გაგვეპარა: „878—1014 წ.“ უნდა იყოს—978—1014 წ. და 1721—1841 წ. უნდა იყოს 1821—1841 წ.

ჩვენებური ამბები

ბრეძასა და მეტეხს შორის (სურამის საზოქაულო) ცხინვალში მცხოვრებთ გიორგი როსტომაშვილსა და კონსტანტინე მაისურაძეს სამი შეიარაღებული ყაჩაღი დაეცა და 20 თუმანი წაართვა.

სად. აჯამეთსა და სვირს შორის რკინის გზის ლიანდაგის ოსტატი ვარდოსანიძე ორ შეიარაღებულ ყაჩაღს გაუძარცვავს. ერთი ავაზაკთაგანი (თათარი) დარაჯებმა შეიპყრეს.

ქუთაისში ამ ჟამად ღვინო ძალიან გაძვირებულა. როგორც “ახ მიმ.“-ს ატყობინებენ, ერთი ფუთი ღვინო იყიდება 50 მანათად (?!)

სამცენარეულო გამოფენისათვის გაგზავნილ ნივთებს რუსეთის ნაოსნობის საზოგადოება შეღავათიანი ფასით გადიტანს თავის გემებით, ასე რომ ჩვეულებრივ ტარიფს 40% დააკლებს. ხოლო მსურველმა წინადვე უნდა მიიღოს გაგრის გამოფენის კომიტეტისაგან საჭირო მოწმობა.

გორის წარმომადგენელთა კრებამ მოისმინა წინადადება გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლისა შესახებ იმისა, რა დახმარებას გაუწევს ქალაქის თვით-მმართველობა განზრახულ გიმნაზიას, რომლის დაარსებასაც აპირებენ გორში, და დაადგინა: უკეთუ გიმნაზია დაარსდება გორში, ყოველ წლივ ქალაქმა აძლიოს 2,000 მანათი. ამ ფულის მოსაპოვებლად ქალაქის უძრავ მამულებს მოვუმატოთ დაფასების გარდასახადი. 6% მაგივრად 8% და, როგორც მომატება გარდასახადისა, ისე გადება 2,000 მანათისა იმ დღიდგან დავიწყოთ, როცა გიმნაზია დაარსდება გორშიო.

სიღნაღი. სწორედ ამისთანა წინადადება კახეთის თავად-აზნაურობისა ქალაქმა უარ-ჰყო,—სიღარიბისა გამო გიმნაზიის ხარჯს ვერ ვიკისრებთო.

საჩხერე. კნეინა ელისაბედ გიორგის ასულის წერეთლის მეცადინეობით, საჩხერის ქალების სასწავლებლისათვის სამინისტრომ გადასდო ყოველ წლობით 700 მან. ორ მასწავლებლის ჯამაგირად. სწავლა დაიწყება მომავალს 1-ს ენკენისთვეს. ჯერ-ჯერობით სასწავლებელი მოთავსებული იქმნება ნაქირავებ სახლში, შემდეგ-კი ექმნება საკუთარი სახლი, რისთვისაც კნ. ელ. წერეთლისამ შესწირა ადგილი და ხისა და ქვის ყოველი მასალა. მოტანა-კი ამ მასალისა თავს იდვა ადგილობრივმა საზოგადოებამ. ამას წინად აქ მობრძანდა რკინის გზის ინჟენერი ბ-ნი თუმანოვი, დაათვალიერა სასკოლო ადგილი და აღუთქვა კნ. წერეთელს მუქთად შეუდგინოს სკოლისათვის სახლის გეგმა და მისი ხარჯთ-აღრიცხვა. იმედია, ბ-ნი თუმანოვი მალე ალასრულებს თავის აღთქმას, რადგანაც საქმე ახლა იმ გეგმაზე და ხარჯთ-აღრიცხვაზეა დამოკიდებული. მიღებულ იქმნება თუ არა ეს გეგმა, მაშინვე უნდა წარდგეს ის სახალხო სასწავლებლების დირექტორთან, რომელიც თავის მხრივ იშუამდგომლებს მთავრობასთან, სამინისტრომ იკისროს აშენების ხარჯი.

დ. ხონი. ყველა ქალაქის საზრუნავი საგანია რიგიანი სადგომების მოწყობა და მათ სანიტარულ მდგომარეობის ყურის გდება, მაგრამ ხონში ამას არავინ დაეძებს. თუმცა გვყავს ამორჩეულნი, რომელთაც დავალებული აქვთ, ამ საქმის შესრულება, მაგრამ... მაგრამ ის არის, რომ ამას ყურადღებას არავინ აქცევს. მარტო საზამთროსა და ნესვს ემტერებიან. ჩვენის სამიკიტნოების დუქნებში დიდი უსუფთაობაა; იქვე თავლაში უბიათ ცხენები და საშინელი უსუფთაობა სუფევს. არც ბაზარი არის უკეთეს მდგომარეობაში, ალაგ-ალაგ ისეთი ტბა და ტალახია, რომ მეტი აღარ შეიძლება. ქუჩები დაუწმენდელი და ნაგავით სავსეა. ან ნესვი და საზამთრო ამოგვწყვეტავს ხონში და ან ასეთი უსუფთაობა. ვერც ნოქრების საქმეა კარგს მდგომარეობაში, განსაკუთრებით-კი ხარაზებისა, რადგანაც დილის 5 საათიდან დაყენებული ღამის 12 საათამდის განუწყვეტლად მუშაობენ. მათთვის არც წირვა, არც ლოცვა, არც წიგნის კითხვა.

ნ.

ქუთაისსა და იმის მოდამოებში როგორც „ც. ფ.“ ატყობინებენძ, ლიერ გახშირდა ქურდობა, კაცის კვლა და ძარცვა-გლეჯა. დღე ისე არ გაივლის, რომ ახალი ამბავი არ გაიგონო ამის შესახებ. ამ ერთის კვირის განმავლობაში ერთმა ჯიბგირმა მოჰკლა დამბაჩით საქალაქო სასწავლებელში ნამყოფი ყმაწვილი. როგორც უკანასკნელს განუცხადებია სიკვდილის წინ, მკვლელობის მიზეზი ისა ყოფილა, რომ ჯიბგირს უთხოვნია იმისთვის შეამხანაგება და საქურდლად წაყოლა, მაგრამ ის არ დათანხმებულა. მკვლელი შეიპყრეს. გელათის გზაზე ქურდები დასცემიან მგზავრებს და, თუ რამ გააჩნდათ, ყველაფერი წაურთმევიათ და გაქცეულან. იმათ შესაპყრობად პოლიციის მიერ მიღებულმა ღონისძიებამ უქმად ჩაიარა.

— კვირას, 27 ივლისს, ქალაქის მიერ სალორიის აგარაკის დასაგეგმავად და სამოსახლოებად დასაყოფად მოწვეულმა მიწის მზომელმა, ქალაქის გამგეობის წევრის ვ. ნ. კანდელაკის, ქალაქის ინჟენერის თავ. დ. გ. ჯორჯაძისა და აგარაკის მმართველის ავალიანის თანადასწრებით, დაათვალიერა ის ადგილები, რომელიც უნდა გაიცეს სამოსახლოებად. დაახლოვებით ასეთი ადგილი 50 დესიატინამდის იქმნება. მიწის მზომელი მალე მუშაობასაც შეუდგება.

რუსეთი

უცხო ხელოვნებათა საიმპერატორო საზოგადოებას დაენიშნა სახელმწიფო ხაზინიდან 1904 წლიდან სამის წლის განმავლობაში ჟურნალ „Художест. Сокровища Россій“-ს ბეჭდვისათვის ათას-ათას თუმანი წელიწადში შესაწევრად.

— მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო აარსებს ცალკე კრებულს აგენტებისას შინათ მრეწველობისათვის. ამ აგენტების მოვალეობა იქმნება გაიცნონ ადგილობრივ ის შინათ-მრეწველობა, რომელსაც კომერციული ხასიათი აქვს.

— გზათა მინისტრმა უბრძანა რკინის გზათა უფროსებს, რომ საჭიროა მეტად იყოს განათებული სადგურები და სადგურებზე გაყვანილი ლიანდაგნიო. ამიტომ შემოდგომისითვის, როცა განხილვა იქნება გზათა ხარჯთ-აღრიცხვისა, ამ საგნის საჭირო ფულიც ჩაურთეთ ხარჯთ-აღრიცხვაშიო.

— უნდათ სთხოვონ მთავრობას, რომ გაადვილდეს და შემსუბუქდეს სახაზინო ნავთიან მიწების იჯარით აღება.

— ნება დართულ იქმნა, რომ კბილის სამკურნალო კურსებზედ შეუძლიანთ შევიდნენ არა მარტო ისინი, ვისაც გიმნაზიის ექვსი კლასი გაუთავებია, ან სხვა ა შუალო სასწავლებლისა, არამედ ისინიც, ვისაც აქვს დიპლომი შინათ მასწავლებლობისა, ქალია, თუ კაცი. დანტისტებიც ამ წესს ემორჩილებიან, თუ მოინდომებენ კბილის სამკურნალო კურსებზედ შესვლას.

— საკონკურსოდ და საპრემიოდ წარუდგენიათ სალიტერატურო-სამხატვრო საზოგადოებისათვის 180 დრამატიული ნაწარმოები. რამდენიმე პიესა მოსწონებიათ და ცალკე გადაუდვიათ, რომ ხელმეორედ კიდევ განხილულ იქმნას. კონკურსის შედეგი გამოირკვევა სეკდემბრის დამდეგს.

— რუსეთში შემოდის უცხოეთის საქონელი 400 მილიონის მანეთისა. უფრო ბევრი შემოაქვს ჯერ გერმანიას, მერე ანგლიას და მერე საფრანგეთს.

— ქალაქ პეტერბურგის ამომრჩეველთა რიცხვი ამ ჟამად არის 14,325 კაცი. წინა არჩევნებზედ ამომრჩეველთა რიცხვი იყო მხოლოდ 8,100.

— პეტერბურგისათვის ახალის კანალიზაციის გამართვა უნდათ სულ სხვანაირის სისტემისა. გამოანგარიშებით ეს კონალიზაცია დაჯდება 30 მილიონი მანათიო. წყლის გამოყვანა პეტერბურგისათვის ლადოჟას ტბიდან დაჯდება 55 მილიონი, ხოლო იამბურგის მაზრიდან 30 მილიონიო.

უცხოეთი

ინგლისი. ინგლისის დღევანდელი სამინისტრო ლამის გადადგეს სამსახურიდგან. ჩემბერლენმა თუ ვერ მოახერხა და ვერ მოიმხრო თავისკენ საპროტექციო სატამოჟნო პოლიტიკაში ჰერცოგი დევონშირისა, მთავარი მინისტრი ბალფური იძულებული იქმნება წარუდგინოს მეფეს ქაღალდი სამინისტროს სამსახურიდგან გადადგომისა. ამ შემთხვევაში მეფე დევონშირის ჰერცოგსა სთხოვს ახალ სამინისტროს შედგენასაო.

ამერიკა. შეერთებულ შტატების პრეზიდენტის მეცადინეობამ, რომ გაიმარჯვოს ზანგებისა და ევროპიელთა თანასწორობის აზრმა, ბევრი რესპუბლიკელი გადაამტერა რუზველტს. ლუიზინის შტატში რესპუბლიკელთა დასის მოთავენი ურჩევენ ამომრჩეველთ, ნუღარ ამოვირჩევთ რუზველტს პრეზიდენტად; ამოვირჩიოთ ისევ დემოკრატების კანდიდატი, ვინცა უნდა იყოსო. რუზველტი რეაქციონერია და ცრუ პატივ-მოყვარეობისა და ეგოიზმის გამო, იმიტომ რომ თავი მოაჩვენოს ქვეყანას კაცთ-მოყვარედ, შეურაცხყოფს თეთრ კანიანთა მოდგმას და ერთ დონეზედ აყენებს ევროპიელსა და „საზიზღარ ზანგს“.

იტალია. ამბობენ, ახალი პაპი საფრანგეთის მტერიაო. პაპს უთქვამს ამაზედ: რად ურევენ ერთმანეთში მთავრობასა და ერს. სიფრანგეთის ერი მე ძალიან მიყვარს, ხოლო დღევანდელს მთავრობას, რასაკვირველია, თანაგრძნობით ვერ მოვეკიდებიო.

ახალი პაპი ჩამომავლობით გლეხ-კაცთა წოდებისაა. ექვსი და ჰყავს და ერთი ძმა, რომელიც ფოსტალიონად იყო 1886 წ. ახალს პაპს პიო მე-X-ს ბრწყინვალე კი არა, მაგრამ საფუძლიანი სადვთის-მეტყველო განათლება-კი აქვს მიღებული. დედა ენის—იტალიურის გარდა კარგად იცის ლათინური და თავისუფლად ლაპარაკობს ამ მკვდარ-ენაზედ. საოცარი კეთილი და გულუხვი კაცია. ვენეტიკში როცა იყო, ხალხი პირდაპირ აღმერთებდა, ისე უყვარდათ. წმინდანს ეძახდნენ.

ახალს პაპს ძალიან უყვარს მუსიკა და მშვენივრად უკრავს როიალზედ. ჯერ საკუთარი მდივანი არ ამოურჩევია. როცა მდივანს ამოირჩევს, მაშინ გადაწყდება, რა პოლიტიკასაც დაადგება ახალი პაპი.

ნარკვევი

ამას წინად გარდაიცვალა ბრიუსელში სახელოვანი გეოლოგი და ყოვლად გულწრფელი ადამიანი ალფონს რენარი. სიკვდილის ცოტა წინად რენარმა ლექციების კითხვა დაიწყო ბრიუსელის სახალხო სახლში ამ თემაზედ: „წარსული, აწმყო და მომავალი მიწისა“. რენარი არა სჯერდებოდა პროფესორის კათედრას და იმის ოცნება სულ ის იყო, ემოქმედნა და ეღვაწა ხალხის განათლების სასარგებლოდ.

> ცოდნა, შეძენილი მეცნიერის მიერათ, —ამბობდა რენარი,—იმას არ ეკუთვნის. თვისი ცოდნა სწავლულმა უნდა ხალხს გადასცეს, იმ ხალხს, რომელსაც ასეთი ცოდნა ეჭირვება თვისის განათლებისა და განთავისუფლებისათვის.

რენარმა გადათარგმნა დარვინის ერთი თხზულება და ასე სწერს ამ თარგმანის წინასიტყვაობაში:

> ჩემის აზრით, კარგია გაახსენოს კაცმა შეგნებულს ხალხს ეს გმირნი და მებრძოლნი ჭეშმარიტებისათვის. იმათ ხომ სხვა იარაღი არა აქვთ—რა, გარდა ცრუმორწმუნოებისაგან თავისუფალის მსჯელობისა, განათლებულის გონებისა, შეუპოვარ და გულ-დამშვიდებულ შრომის უნარისა ამისთანა გმირთ ბევრი მსხვერპლი მოიტანეს, ბევრი ჭირი ჰნახეს მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთი მარტივი საქმე გაეკეთებინათ: ერთის ნაბიჯით მაინც წინ წაეწიათ კაცობრიობის აზრი.

ეს სიტყვები, რომელიც რენარმა დარვინს მიაწერა, სავსებით შეიძლება თვით ავტორსაც მიეწეროს.

რენარმა დიდის სულიერის ბრძოლის შემდეგ დაანება თავი ბერ-მონაზონობას და შეუდგა მეცნიერების მსახურებას. ამაზედ ძრიელ ეჯავრებოდათ რენარი კლერიკალებს და დღესაც, როცა იგი უკვე სამარეშია, არას გზით არ უნდათ აპატიონ სიტყვები, თქმული მის მიერ 1901 წელს:

> ახალი სიო აცხოველებს კაცთა გონებას. ის აზრნი და იდეალი, რომელიც იყო ხელმძღვანელი კაცთა გონებისა მთელ საუკუნეთა განმავლობაში, თვის ადგილს უთმობდასინამდვილის ვრცელს და ჭეშმარიტს გაგებას მეცნიერება წინ მიდის მედიდურად და ყოველი მისი შენაძენი თავ ზარს სცემს ცრუ მორწმუნეობას. მე ვთხოულობ ჩემთვის, მართალია, გვიან, მაგრამ ვთხოულობ ჩემის სვინიდისის ყოველის ძალ-ღონით უფლებას, რომ თავისუფლებას არავინ მიზღუდავდეს“.

ცნობილმა რუსთა მწერალმა ვ. დოროშევიჩმა „Русск. Сл.“-ში რამდენიმე მხურვალე სიტყვა უძღვნა ჟურნალისტს ნ. ი. როზენშტეინს, რომელიც ამ ერთის წლის წინად გარდაიცვალა.

„იმან მოსკოვში ძალიან ცოტა ხანს იმუშავა, რომ ვისმეს გაეცნო, გაეცნოთ და დაეფასებინათ, დაეფასებინათ და შაეყვარებინათ.

დასაფლავებაზედ ჟურნალისტები დაესწრნენ; არც ერთი მათგანი-კი არა, ვისთვისაც იგი იბრძოდა, მუშაობდა. ამიტომ ორნაირად სამწუხარო იყო მისი დასაფლავება.

მაგრამ „მწუხარების ღრუბელში“ მაინც გამოჰკრთა მზე, მხოლოდ ერთად-ერთი მისი სხივი, მაგრამ ნამდვილი მზის სხივი კი—როდესაც მცირე გუნდი ჰირისუფალთა ებრაელთა სასაფლაოზე მოვიდა. აღმოსჩნდა, რომ ერთი საათით კიდევ უნდა გვეცადნა.

— სხვა საფლავს სთხრიან.

— რად?

— გაიგეს, რომ განსვენებული მწერალია, ამიტომ უკვე მომზადებული საფლავის მაგიერ სთხრიან სხვა საფლავს საპატივო ადგილზე.

ეს ამბავი ჩემთვის ახალიც იყო და თავისებურიც.

დასაფლავება მწერლისა საპატიო ადგილზედ აზრათ მოსვლიათ სრულიად უბრალო, გაუნათლებელს ხალხსა, რომელნიც განაგებენ ებრაელთა სასაფლაოსა.

არა მგონია, თუ ისინი გაზეთებს კითხულობდნენ, როზენშტეინზე ხომ ვგონებ არაფერი არ გაუგონიათ.

— ის გონებით მუშაობდა, უბრალოდ განმარტა ერთმა მათგანმა, ამიტომ იმას საპატიო ადგილი ეკუთვნისო.

და მართლაც საპატიო ადგილზე მის გვერდით განისვენებდა ებრაელთა სასაფლაოზე არა რომელიმე ბანკირი, არამედ ერთად-ერთი ხელოვანი, „ხუდოჟნიკი“ ლევიტანი.

ასე ჰფიქრობს გონებით მუშაობაზე ის ხალხი, რომელზედაც ამბობენ, რომ მარტო ფულებს აფასებსო.

დამეთანხმენით, რომ ეს, ცოტა არ იყოს, საოცარია! ხალხი ასე დიდად აფასებს აზრს, ცოდნას, იმათ, ვინც აზრითა და გონებით მუშაობენ და ამისთანა ხალხზე-კი ამბობენ, ისინი მხოლოდ აფასებენ ფულებს და მის გარეშე სხვას არაფერსაო! საიდამ იციან ეს? ტალმუდი ამბობს: „მდინარეში ყოველნაირი თევზია—კარგიც და უხეიროც. მაგრამ ამძოვრებული თევზი ზემოდ ტივტივებს, ჰყარს და მას ყველანი ჰხედავენ.

დი-ღ, ჰხედავენ და ჰგონიათ, რომ „იციან“ მთელი მდინარე ძირამდე“.

ლე და გაკიცხული შეიქნას?! მაშინ? რაღა ეშველება?

განვლო რამდენმამე დღემ. ერთხელ ასანას მწყალობელი ბანოვანი გამოვიდა თავის სახლიდან სასეირნოდ და... ნახა ქუჩაში უმწეოდ ჯავრ-ვარამით დაუძლურებული ასანა. შეიტყო მისგან ყოველივე და, რა დარწმუნდა მართალს ამბობს ასანაო, ნუგეში სცა და სახლში მიიხმო...

III

რაც-კი ძვირფასი თვალ-მარგალიტი, სამკაული და ოქროს-ქსოვილი ფარჩეული ჰქონდა ამ სულითაც დიდებულ ბანოვანს, შეაგროვა, გამოჰკრა ბოღჩებში და მოჰკიდა მოსამსახურეს ყადთან წასაღებად. ასანას-კი უბრძანა: აბა, ასან! აი, ხომ ჰხედავ ამ სამკაულს, თვალ-მარგალიტს, ოქრო-ქსოვილს?! ყველა ამას მივუტან ყადს, შენ მითვალთვალე, იდროე... როცა კი, აი ამ ბოღჩებს ხსნას დავუწყებ და ვუჩვენებ ყადს ამ ძვირფას განძს, მაშინ შემოდი, თამამად სთხოვე ყადს შენგან მიბარებული ფული ხუთასი მარჩილი!

ასანამ სიხარულით შესძახა: ქალბატონო, ორასი მარჩილი მაქვს მიბარებული და არა ხუთასი!

— სულელო, ხუთასი!! –მრისხანედ უბრძანა ქალბატონმა. რამდენსაც გიბრძანებ, იმდენი მოსთხოვე, გესმის!? ხუთასი!.. არ დაივიწყო!..

სიხარულით დათანხმდა ასანა.

ქალბატონი მიუბრუნდა ერთგულ მონას და უბრძანა:

— შენ-კი, ჩემო ერთგულო, როცა ასანა ფულს მიიღებს ყადისაგან და დაიწყებს ცეკვას, შემოვარდი გახარებული და მიმახარობლე: აღა მობრძანდა, აღააა! სამახარობლო მერგება! სამახარობლოოო!! და შენც მოჰყევ ცეკვა-ხტუნვას..

IV

გაჰკვირდა ყადი, რა დაინახა დიდებული ბანოვანი თავის ჰერ ქვეშ... მსუნაგ თვალებით გადახედა ბოღჩებს, რომლებიც მძიმედ დააწყო ყადის წინ მოსამსახურემ.

— რა ამბავია?! რისთვის გარჯილხართ?—ჰკითხა ყადმა ბანოვანს.

— რაღა რისთვის! დიდსულოვანო ყადო, ჩემ ტანჯვა-წუხილს საზღვარი არა აქვს. დავკარგე სულის მშვიდობა, სამი წელიწადია მას აქეთ, რაც ჩემი ქმარი წავიდა მექაში მოსალოცავად ღვთის სწორის, წმიდა მუჰამედ ფეღამბარის საფლავის სამთხვევლად... მას აქეთ დაეკარგა მშვიდობა სულსა, გულს სწყურის მისი ნახვა-ტრფობა და მეკი ვერა გავიგე-რა მისის ასავალ-დასავალისა... მკვდარია, თუ ცოცხალი,—ალლაჰმა და მის თანასწორმა მუჰამედ ფეღამბარმა უწყის... აწ გადავსწყვიტე: მე თითონ წავიდე ჩემის ძვირფასის ქმრის საძებნელად... მაგრამ, არ ვიცი, რა ვუყო, სად და ვის მივანდო ამდონი აურაცხელი განძი, ფას-დაუდებელი თვალ-მარგალიტი და ოქრო-ქსოვილი?!. შვილი არ მომეძევება და ნათესავი გულ-შემატკივარი! აწ მოწიწებით გთხოვ და გევედრები: მიიბარე ეს ძვირფასი განძი.

აქ გადაშალა ბოღჩები.

— თუ ჩემი ქმარი მოვნახე და მოვედით ერთის წლის განმავლობაში, მაშინ ხომ თქვენია და თქვენი.. ღმერთმა კეთილად მოგახმაროს!..

ყადმა სიხარულით ტანში თრთოლა იგრძნო. ანგარების მოყვარე თვალებმა ციმციმი დაუწყეს... ცხვირის წვეტი შეუთამაშდა... ტუჩების ლოკვა-ცმუკვნა იწყო და ქვეშ-ქვეშ, თავშეკავებით, ძლივს ღა იკავებდა ბედასლ თავს..

ამ დროს გაჩნდა ასანა და მოახსენა სიხარულით:

— დიდებულო, წმიდაო ყადო! დამლოცეთ, გზაც დამილოცეთ!.. ვაპირებ ცოლშვილთან წასვლას, მიბოძეთ ჩემი მობარებული ხუთასი მარჩილი!

ყადს სიბრაზით ყელში ბოღმა მოაწვა. რა ჰქნას?! როგორ დასტუქსოს და უთხრას უარი?! ხომ გაუმჟღავნდა თვისი ანგარება და ზნეობრივი სიდუხჭირე?!.

სიტყვაც არ დასძრა, ამოიღო საგანძურიდან ხუთასი მარჩილი და გადასცა ასანას...

ასანამ მიითვალა, ჩაიჩხრიალა უბეში ხუთასი მარჩილი და მოჰყვა ცეკვა-თამაშს, ციბრუტივით ტრიალს...

შემოიჭრა ქაქანით მოსამსახურე.

— ქალბატონო, ქალბატონო!! სამახარობლო მერგება, სამახარობლოოო!! აღა მობძანდა, აღააა!.. სამახარობლო მერგება, ჩეჰიიიი!..—და თან დაიწყო ხტუნვა-ტრიალი.

გაშტერდა ყადი...

ქალბატონმაც საჩქაროდ გამოჰკრა ბოღჩებში, რაც რამ მიტანილი ჰქონდა, და თითონაც მოჰყვა ცეკვა-თამაშს.

— ოჰოიმე, ოჰოიმე! ქმარი მომსვლია, ქმარიიიი!..

ყადმა რა შეატყო, ქალმა მომაღორაო, თითონაც დაიწყო თამაში...

ცოტა ხნის შემდეგ, შეჩერდა ქალბატონი და ჰკითხა ყადს:

— მე იმიტომ ვთამაშობ, რომ ქმარი მომსვლია, ასანამ ფული გაინაღდა და უხარია, ეს ჩემი ყმა სამახარობლოს იმედით ცეკვავს. შენ რაღა გახტუნებს?!

— მეც ის მიხარია,—უთხრა ყადმა,— რომ შენისთანა ოსტატს და მოხერხებულს ქალს სამას მარჩილით გადავრჩი!..

ნიკო ასათიანი

თეატრი და ხელოვნება

— პატარა თეატრს მოსკოვში შემოსვლია შარშან სეზონის განმავლობაში 241,450 მ. წმინდა მოგება დარჩენია 8866 მან.

—

ქ. ქუთაისი. 27 ივლისს სცენის მოყვარეებმა წარმოდგენა გამართეს. წარმოადგინეს „ძუნწი“, კომ. თ-დ ერისთავისა, „ბაიყუში“ კომ. ა. ცაგარლისა, და რუსულად Дуель на столбахъ, 1 მოქ. ხუმრობა ტანსკისა. წარმოდგენამ გვარიანად ჩაიარა. მხოლოდ ქ-ნი ხორბელი შესამჩნევად სუსტობდა, ეტყობოდა, რომ სცენაზედ ახლად გამოსულია. საკვირველია, რატომ ბ-მა გურულმა და ქ-მა გიგიშვილმა არ მიიღეს მონაწილეობა წარმოდგენაში, როდესაც გამოცხადებულნი იყვნენ აფიშაში. ხალხს ძალიან მოეწონა ბ-ნ ურბნელის უზუნდარის თამაში „ბაიყუშში“. რუსულმა წარმოდგენამ კარგათ ჩაიარა, თუმცა ბევრს ნაწილს საზოგადოებისას რუსული არ ესმოდა. ბ-მა დათოშვილმა დაგვანახა, რომ რუსული თამაში კარგად შესძლებია, სიტყვებსაც მკაფიოდ ამბობდა. მხოლოდ ერთი უბედურობა სჭირს ჩვენის სცენის მოყვარეთა გუნდს,— არაოდეს თავის დროზედ არ იწყებენ. წარმოდგენა, 10 საათზედ დაწყებული, 2 საათზედ ძლივს თავდება. ასეთი გაჭიანურება ხალხსა ჰქანცავს, და ამიტომაც ყოველთვის ხალხი ნაკლებად ესწრობა. არ შეგვიძლიან არ ვუსაყვედუროთ აგრეთვე თეატრის გამგეობას, რომ კამერდინერებად ისეთ კაცებს აყენებენ, რომელნიც წესიერებას არღვევენ და ხალხს შეურაცყოფას აყენებენ. იშვიათად მოხდება, რომ წარმოდგენის დროს უსიამოვნობა არ მოუხდეთ კ.მერდინერებთან. საჭიროა და სასურველი, რომ თეატრის გამგეობა რიგიან კამერდინერებს დააყენებდეს.

რუისპირელი.

—

დ. ხონი. კვირას, 20 ივლისს, ქუთაისის დრამატიულ დასის არტისტის დ. ჩარკვიანის მონაწილეობით და ადგილობრივ სცენის მოყვარულთა დახმარებით გამართული იყო წარმოდგენა: წარმოადგინეს აკაკის ისტ. დრ, „პატარა კახი“. წარმოდგენას საზოგადოება ბლომად დაესწრო. კმაყოფილნიც დაბრუნდნენ სახლში. რაც შეეხება როლების დასწავლას, ეხლა უფრო მეტი მეცადინეობა ეტყობოდათ, ვიდრე წინა წარმოდგენებში. ჩარკვიანი რიგიანად თამაშობდა „პატარა კახს“, თუმცა მისგან უფრო მეტს ელოდნენ. საზოგადოებაზე მაინც ძლიერ იმოქმედა მისმა თამაშობამ. ბ-ნ პ. მდივანმა მშვენივრად ითამაშა მოხუცებული გელა. ბ-ნი მდივანი ძალიან დახმარებას უწევს ხონის თეატრს. იმედია, კიდევ უფრო მეტს ენერგიას გამოიჩენს. საუცხოვოდ ითამაშა დ. ქვაბულიძემ, ბ-ნ ილია ბახტაძემ, რომელიც საზოგადოებამ „ვაშას“ ძახილით დააჯილდოვა. ბ-ნ ილიას დრამებში უფრო შვენის თამაში, ვიდრე კომედიებსა და ვოდევილებში საუცხოვო იყო აგრეთვე, ბ-ნი რატიანი ბაადურში. როდესაც სცენაზე თამაშობს, ასე გგონია, გამოცდილი არტისტი სდგას შენს წინაშე და არა სცენის მოყვარე. განსაკუთრებით ეხერხება სომხის როლები და კილოც თითქმის სომხისა აქვს. დანარჩენ მოთამაშეებზე არას ვიტყვი. რადგანაც სუსტათ თამაშობდნენ. განსაკუთრებითკი მუშებზე, რადგანაც როლები სულ არ იცოდნენ და თითო სიტყვას ორორ-ჯერ დეჭდნენ.

დამსწრე წ.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

30 ივლისი.

ნეაპოლი. ვეზუვის მწვერვალი გაირღვა და ამოუტევა ნაცარტუტი, რომლის ფრქვევაც ძლიერია.

სტამბოლი. ბულგარიის დიპლომატიურმა აგენტმა კვლავ ოფიციალურად დაარწმუნა პორტა, რომ დონისძიებანი მიღებული ბულგარიის მართებლობისაგან საზღვრებზედ, რომლის გამოც ამ ბოლოს დროს არც ბულგარელთა ჯგუფთები, არც ბულგარელი აფიცრები ოსმალეთის საზღვარს არ გადასცდებიან და მომავალშიაც არ იზამენ ამას. ბულგარია შემდეგშიაც ასე მოიქცევა.

ათინა. კუნძულ კიფირზედ დედამიწის გულიდგან სამჯერ მოისმა გრგვინვა; სამი სოფელი თითქმის სრულიად დაინგრია. მთელს დანარჩენ საბერძნეთში მიწის ძვრა იყო.

ლონდონი. კომისია უცხო სახელმწიფოთა იმმიგრაციისა (უცხო ქვეყნებიდგან შემოხიზნულნი) ურჩევს, რომ მართებლობამ ყურადღება იქონიოს ზოგიერთა უცხო ქვეყნებიდამ გადმოსულებზე და არ შემოუშვას ისეთნი კაცები, რომელთაც ცუდი სახელი აქვთ გავარდნილი და სახელმწიფოსათვის სამძიმო იქნება მათი მიღება, აგრეთვე არ შემოუშვან ისინიც, რომელნიც რაიმე საზიზღარ ანუ გადამდებ სენით არიან შეპყრობილნი. უკანასკნელ ჟამს ძლიერი იმიგრაცია დაიწყო და ეს უნდა მივაწეროთ იმას, რომ რუსეთის და პოლონეთის ებრაელნი ერთობ ბლომად მოდიან. ურჩევენ უფრო მეტი ყურადღება მიაქციონ იმათ, ვინც აღმოსავლეთ ევროპიდამ მოდიან.

ვენა. აქაურის სამხედრო ატაშეს ადგილი ჯერ არავისთვის მიუციათ, რადგანაც პოლკოვნიკის ძალით აწინდელის ატაშეს მოადგილე უკანასკნელ წელს ბელგრადის გარნიზონში არ იყო და არც მკვლელობაში ერია.

სალონიკი. გევგელში ბულგარებმა ააფეთქეს რკინის გზის ხიდი.

„ივერიის“ ფოსტა.

ვ. თუმ—შვილს ოელავში. თქვენი „ნაწყვეტი“ არ დაიბეჭდება.

ბ-ნ უცნობს, ქუთაისში. თქვენი წერილიც არ დაიბეჭდება.

პეტერბურგის ბირჟა, 25 ივლისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,80
ბერლინში 100 მარკაში.	—
პარიჟში 100 ფრანკში	37,32$\frac{1}{2}$
ლონდონში ჩეკები.	94,45
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი.	5 - 6$\frac{1}{2}$ %
4% სახელმწიფო რენტა.	99$\frac{3}{8}$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	107 წვ. გაყ.
4% გირავნ. ფურც სახელ. საადგ. მამულო ბანკის	95$\frac{1}{8}$ მყიდ?
%1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	445 გაყ
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	342$\frac{1}{2}$ წვ. მყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	291 გაყ
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	94$\frac{3}{4}$
4$\frac{1}{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	92$\frac{1}{2}$ გაყ.
4$\frac{1}{2}$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაიები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, ,, ,,	—
,,კასპიის ამხანაგობისა.	3850 წვ. გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	399 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	195$\frac{1}{2}$ წვ. გაყ.

გამოსადეგი ცნობა.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა 18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით.)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევს 4 ს. 24 2) წ. საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74/₇₃ ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № 90/₉₁ შუადღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/₈ ნაშუადღევს 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № 9/₁₀ დილის 9ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 11 ს. 22 წ.; ჩამოდის ტფილისს დილით 9 ს. 42 წ. 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 ს. 21 წ. ჩამოდის ტფილისს დილით 11 ს. 8 წ. 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ. ჩამოდის ტფილისს საღამოს 11 ს. 1 წ.

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) დილის 4 ს. 40 წ. ტფილისს მოდის ნაშუადღევს 5 ს. 51 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ.; ტფილისს მოდის ნაშუადღევს 5 ს. 23. წ. 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევს 2 ს 1 წ. ტფილისს მოდის დილის 5 ს. 5 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; და დღის 2 ს. 23 წ.

ბათუმისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

ფოთისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

ტფილისის საზოგადო წიგნთსაცავი

(მთავარმართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდგან 1 ოქტომბრამდე იღება 2 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოქტომბრიდგან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ- წიგნთსაცავში მრავალ რუსულ, ქართულ სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

კავკასიის მუზეუმი

(მთავარმართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდგან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია-

საეკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება კვირა-უქმე დღეს დილის 10 საათიდგან 1 საათამდე. ვისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს—ბ-ნ მოსე ჯანაშვილს.

შესვლის ფასი ერთი აბაზია.

ნიხრი ეტლებით მიმოსვლისა

ქ. ტფილისში.

სამთობით	60	კ.
ერთგზობით.	30	„
ქალაქიდან ავლაბარში	40	“
ნაძალადევში	50	„
ავლაბრიდგან ნაძალადევს	30	„
ნაძალადევიდამ ქალაქს	40	„
ქალაქიდგან და ავლაბრიდგან რკინის გზის სადგურამდე	50	„
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	80	„
ქალაქიდგან და ავლაბრიდგან მუშთაიდის ბაღში და დიდუბეს.	40	„
იქვე ნახევარ საათის გაჩერება და უკან დაბრუნება	1	მ.
ქალაქიდან ორთაჭალას, საპყრობილემდე	40	კ.
კრწანისის ბაღამდე	80	„
ნაძალადევიდამ რკინის გზის სადგურსა და მუშთაიდის ბაღამდე.	80	„
რკინის გზის სადგურიდგან ქალაქსა და ავლაბარს	60	„
იქიდამ ნაძალადამდე.	1—20	„

უკეთუ რკინის გზის მატარებელმა დაიგვიანა, ყოველ ნახევარ საათში 30 კაპ. ემატება.

მართლმადიდებელთა სასაფლაომდე 50 „

ეს ნიხრი სავალდებულოა ღამის 1 საათამდე; შემდეგ-კი 1 ოქტომბრიდგან 1 აპრილამდე ერთგზობით უნდა მიეცეს 50 კ. ხოლო 1 აპრილიდგან 1 ოქტომბრამდე 30 კ.

ნიხრი ხორცისა.

საქონლის ხორცი:

1 ხარისხისა გირვანქა	12	კ.
2 „	9	
3 „	7	
სუკი	15	
ცხვრის ხორცი	10	
კამეჩისა	7	

ღორისა

1 ხარისხის (საკატლეტე)	11	
2 „ (ბარძაყი)	10	
3 „ (დანარჩენი ნაწილი, გატყავებული)	8	

ნიხრი პურისა:

ფურნეში გამომცხვარი

1 ხარისხისა	5	კ.
2 „	3$\frac{1}{2}$	
3 „	3	„

თორნეში გამომცხვარი:

1 ხარისხის	5	კ.
2 „	4	„
5 „	3$\frac{1}{2}$	„

სამხედრო მუზეუმი

(გოლოვინის პროსპექტზე)

მუზეუმი ღიაა დილის 11 საათიდგან 2 საათამდე. შემსვლელს ფულს არ ახდევინებენ.

საბოტანიკო ბაღი

(ძველი „ბატონიშვილის ბაღი“)

ორი მისავალი აქვს—ერთი სოლოლაკის მხრივ და მეორე დაბახანიდგან.

დაითვალიერება განსაკუთრებულ გაყოფილებისა, სადაც იშვიათი მცენარეულობაა გაშენებული, მხოლოდ იმას შეუძლიან, ვინც ნებართვის ბარათს აიღებს ამ ბაღის გამგესაგან, ანუ სამეურნეო საზოგადოების გამგეობისაგან. შემსვლელს ფულს არ ახდევინებენ. ყვავილების შეტანა არ შეიძლება.

სააბრეშუმო სადგური

მიხეილის პროსპექტის ბოლოს, მუშთაიდის ბაღში).

დათვალიერება შეიძლება სააბრეშუმო სადგურის გამგეს ნებართვით, რომელიც იქვე სცხოვრობს. სააბრეშუმო სადგურთან საფუთკრეც არის.

მიმოსვლა ეტლებისა კავკავის გზით.

კარეტა ვადიანი გადის ტფილისიდგან კავკავს 7-სა და 8 საათზედ დილით, ღამე ჩერდება მლეთში და კავკავს მიდის საღამოს 7 საათზე.

გარდასახადი:

1 კლასით	15	მან.
2 „	10	„
3 „	5	„

ლინეიკა გადის ტფილისიდგან ნაშუადღევის 3 საათზე, ღამე არსადა ჩერდება.

გარდასახადი:

1 ადგილისა	6 მ. 80	კ.
2 „	4 „ 80	„

ეტლების სიარული ტფილისსა და თელავს შორის.

მამულოვის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზედ. თელავიდგან ტფილისს ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი დახურულ ეტლში 4 მან., კოზლაზედ—3 მან. (კანტორა იმყოფება ავლაბარში, კახეთის მოედანზე).

ეტლების სიარული ტფილისსა და სიღნაღს შორის.

აბოევის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზე. სიღნაღიდგან ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი კაცზე ვადიან დილიჟანსში—4 მან., უვადოში—3 მან.

განცხადება

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ გამგეობის დარბაზში, 19 აგვისტოს, **საჯარო ვაჭრობა** იქმნება. გაიცემა იჯარით ქალაქის თავისუფალი მიწა, ნაჭრებად დაყოფილი სამოსახლ-კაროდ ახალ ნაძალადევში, მსურველთ ვაჭრობამდე უნდა წარადგინონ პოლიციის მოწმობა, რომ იჯარის მსურველი მოხარკეთა წოდებას ეკუთვნის და ტფილისზეა მიწერილი. ვინც სხვა წოდებისაა, იმათ უნდა წარადგინონ მოწმობა: რუსეთის ქვეშევრდომთ იმის შესახებ, რომ 5 წელიწადზედ მეტსა სცხოვრობენ ტფილისში სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომთ—რომ 10 წელიწადზედ მეტს სცხოვრობენ. საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების ნება არა აქვთ, ვისაც ქალაქში უძრავი ქონება მოეპოვებათ; იმათაც არა აქვთ აგრეთვე საიჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების უფლება, ვის ცოლსა ანუ შვილებს ასეთი ქონება მოეპოვება. დასასრულ, მიწა იჯარით არ მიეცემა იმას, ვისაც იჯარით აღებული აქვს სხვა მიწა,

(2—6.—2)

საბუჰალტერო კლასები

ი. ი. ბრონ-ფონ-ბრენერისა.

მიხეილის პროსპექტი № 161.

სწავლა დაიწყება 10 სექტემბერს და **ნახევარს წელიწადს გასტანს. მასწავლებელთა კრებული საუკეთესო სპეციალისტებისაგან შესდგება.** კლასებთან სავაჭრო **მუზეუმი, ბიბლიოთეკა და ბიუროც** არის. **პროგრამა ს.-პეტერბურგის კურსებისაა.** საგანგებო ლექციები იქნება სავაჭრო საქონლის მეტყველებისა, კომერციულ ეკონომიისა, საგანგებო ანგარიშებისა: ბანკისა, რკინის გზისა, სახელმწიფო ხაზინისა, სახაზინო სასმელთა ვაჭრობისა, ფაბრიკისა და სხვ. თხოვნები მიიღება 10 სექტემბრამდე კლასების კანცელარიაში, მიხეილის პროსპექტზე, № 161, დილის 9 საათიდგან 1-მდე და საღამოს 5 საათიდგან 8-მდე.

დამაარსებელი კლასებისა **ი. ბრონ-ფონ-ბრენნერი.** (15—1)

საბუჰალტერო კლასები.

მიხეილის პროსპექტი, № 161.

რადგანაც ზოგმა ტფილისის **ნოქართაგანმა** არა ერთხელა გვთხოვა მიგვეცა მათთვის საშუალება კომერციულის ცოდნის შეძენისა, სიამოვნებით ვეგებებით ამ სურვილს და **ვაარსებთ** 15 **აგვისტოდგან საღამოს კურსებს საკანტორო საქმეთა შესასწავლად შემდეგის პროგრამით:**

1) **ელემენტარული ანგარიში;**
2) **არითმეტიკა საანგარიშოებზედ;**
3) **კომერციული განოანგარიშება;**
4) **სავაჭრო ქაღალდების შედგენა** (**ანგარიში, ფაქტურა და სხვ.**);
5) **ნოქრების მოვალეობა მუშტრისა და აღებ-მიცემობის წინაშე.**

კურსებზედ მივიღებთ **ყველას, ვინც წერა-კითხვა იცის,** განურჩევლად ხნოვანებისა.

სწავლა იქნება საღამოობით ცხრის ნახევარ საათიდგან ათ საათამდე; ფასი თვეში 5 **მანეთი,** წელიწადში—40 **მან.**

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ მხოლოდ 15 აგვისტომდე კლასების კანცელარიაში (მიხეილის პროსპ., № 161), ყოველ დღე, საღამოს ცხრის ნახევარ საათიდგან 10 საათამდე, ანუ რუსეთის სატრანსპორტო საზოგადოების კანტორაში—ი. ო. ტერ-არუთინოვთან.

დამაარსებელი კლასებისა **ი. ბრონ-ფონ-ბრენნერი.** (6—1).

საწყობი ქაღალდის
დიტიატკოვსკის ამხანაგობის

მოსკოვი 1882 წ.

ოვოგორ ოდი 1896 წ.

საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტფილისში

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი და საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, ალბომის ქაღალდი აგრეთვე ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

მაღაზია საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად.**

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილსის საკომერციო ბანკისა.

ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.

ტელეფონი № 66. (30—6.—21)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 31 іюля 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Н. Діасамидзе). ı Груз Дворянства. დროებით-რედაქტორი ზ. ჭიჭინაძე, გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.